ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №56

2015 წლის 6 აპრილი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა 325 ბ-ს მოპირდაპირედ 1855,0 კვ.მ. (ს/კ 20.42.03.308) და ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა 327-ს მიმდებარედ 5793.0 კვ.მ (ს/კ 20.42.03.399 სულ ჯამში 7648,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები აუქციონის წესით 25 წლის ვადით იჯარით გაცემაზე თანამედროვე სტანდარტების ავტოსადგომის მოწყობის მიზნით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე